# ერი

№ 22

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით . . . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 28

მისამართი: Кутаисъ, редакция „ЭРИ". Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



„რადიუმი"

25, 26 და 27 ნოემბერი

ახალი პროგრამა.

I. პათე-ჟურნალი.

II. პიერო და პეპელა

დიდი მხატვრული კომედია „ნორდიკსისა" 4 ნაწილათ ცნობილი მაცეკვარი ქალის რიტა საშეტოს მონაწილეობით.

III. განსაცთელში

ძალიან კომიკური სურათი.

28 საქველმოქმედო სეანსებია ახალი პროგრამით „სახალხო გაზეთის" სასარგებლოთ.

ამ დღეებში იქნება სურათები ვერბიცკის რომანის: — „ბედის გასაღები"

დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა ს. მ. კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, კივონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.


უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ონისიმე თომას ძე ტყეშელაშვილი, შვილები: ილია, სოფიო, დომინიკა და ანა, დედამთილი ანა ტყეშელაშვილისა, მაზლები: გიორგი, დავით და ექიმი კონსტანტინე თომას ძენი ტყეშელაშვილები, რძლები: თეკლე და ელისაბედი, სიძენი: ალექსანდრე გრიგოლაშვილი და გიორგი კილაძე—აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ეფროსინე ლაზარე პაპავას ასული ტყეშელაშვილისა.**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5½ ს.; ჭავჭავაძის ქ. საკუთ. სახლი. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 28 ამა ნოემბერს, თორმეტ საათზე; დაკრძალვა ამავე დღეს ნაშუადღევის სამ საათზე სოფელ ხედა-მაღლაკის ეკლესიის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი ჭირისუფლები უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც თავისი მობძანებით, ან დეპეშით, ან სხვა რამე სამსახურით პატივი სცეს უდროოთ დაკარგულის

**დავით პეტრეს ძის წულესკირის**

ხსოვნას და ამით ანუგეშეს ღრმადგლოვიარე ჭირისუფალნი.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშვთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(გოლოვინის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

## დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოვლგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

## ა. ი. კოხტაშვილის

ევროპიულ მაღაზიაში

(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)

კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი

დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა.

— ფასები ძლიერ დაკლებულია. —

კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.

ფასები უვაჭროთ.

ყოველკვირეული სალიტერატურო-იუმორისტული ჟურნალი

„ს უ ს ხ ი"

გამოვა ამა წლის 1 დეკემბრიდან

ჟურნალ „ჭინჭრის" მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან „ჭინჭარი" აღარ გამოვა და მისი მაგიერი იქნება „სუსხი". ამიტომ ყოველგვარი წერილი და კორესპონდენცია უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Мухранская № 12. Журналъ „С У С Х И". 1603

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „კლო ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგეა, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი სადვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მეტისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოგიელის სახლში ვ. ტიეგო.

კაცი თუთუნს ეძევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

## მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ექიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**დაბა ზესტაფონი**

ექიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშვთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო

**ნ. ასათიანისა და ი. გვერდწითელიძის.**

ქ. ქუთაისი ალექსანდრეს ქ. სახლი თევდორაძისა.

ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.


## ვ ნ ა ხ ო თ..

როგორც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნუმერში მოთავსებული დეპეშიდან ჩანს, სახელმწიფო სათათბიროს უკამათოდ მიუღია შეკითხვა კავკასიაში შიმშილობის შესახებ. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თუ რაგვარ მდგომარეობაში ჩააგდო წელს მოუსავლობამ დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, რა რიგ შეავიწროვა მცხოვრებნი შიმშილობამ და რომ ხალხის უმწეო მდგომარეობას ფხიზელი დარაჯი და გულწრფელი მოამაგე არ გამოსჩენია. როდესაც შიდა რუსეთის გუბერნიაში შიმშილობა ჩნდება რუსეთის ყოველი კუთხიდან მზათ არიან დახმარების ხელი გაუწოდონ დამშეულ თანამოძმეთ, სახელმწიფო სათათბირო ასი ათასებს არ იშურებს დამშეულთა დასახმარებლათ, ერობათა წარმომადგენელნი მოსვენებას არ აძლევენ ოფიციალური რუსეთის მაღალხარისხოვან წარმომადგენელთ, დღე-ღამ შიმშილობის სახით მოვლენილი უბედურების შესახებ გაკივიან, რუსეთის პრესა საგანგებო კორესპონდენტთა სახით ცდილობს უბედურების სურათი მეტის სიმძლავრით გადასცეს მკითხველთ და, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ოფიციალური რუსეთიც, თუ სავსებით არა, ოდნავ მაინც აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას. ჩვენში კი სულ სხვა სურათს ვხედავთ, აქ ყველაფერი უმოქმედობით იწყება და თავდება, გულწრფელ მოამაგეთ ადგილი არ აქვთ და ჩვენს გაჭირვებას ნამდვილი მესვეური არ უჩანს: ყველამ უწყის, რომ ერობა ჩვენთვის მიუწდომელი, საოცნებო ხილია მხოლოდ; სახელმწიფო სათათბირო ასიათასებს კი არა მილიონებსაც არ იშურებს მხოლოდ არა დამშეულთათვის, არამედ იმ უწყებათა წარმომადგენელთათვის, რომელნიც ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ეროვნების წარმომადგენელთა

გადმოსახლებას განაგებენ; რაც შეეხება რუსულ პრესას, ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან ნემიროვიჩ-დანჩენკოები დიდის ხოტბა შესხმით ეგებებიან ლორის-მელიქოვ-გუკასოვების „ბრწყინვალე აჩრდილთ“, მათ „რუსეთისადმი ღვაწლს“ განმარტავენ და, აბა რა ენაღვლებათ, თუ ათასი თანამედროვე ლორისმელიქოვებით ხალხს სული აქვს შეწუხებული. სატახტო გაზეთების ადგილობრივ კორესპონდენტებს, რომელთაც ზოგჯერ ქართველები შეადგენენ, დიდ სანსაციო რამედ მიაჩნიათ, თუ გაზეთის ფურცლები ინსინუაციებით აავსეს და ყალბი დეპეშები გზავნეს დეპუტატ გელოვანს ქუთაისის აზნაურობამ პენსია დაუნიშნაო, და იმას კი არ დაგიდევენ, თუ არსებითად რა ტანჯვა-წვალებას განიცდის ჩვენი ხალხი წრევანდელი მოუსავლობის გამო. რაც შეეხება ოფიციალურ რუსეთს, იგი ხომ იმ თავითვე განსაკუთრებულ მალამოს ადებს განაპირა ქვეყნების მცხოვრებთა წყლულს, და რა გასაკვირია, თუ ჩვეულ გზასა და ტაქტიკას მან არც შიმშილობის საქმეში უღალატოს. არაა ჩვენში საზოგადო სამუშავრები, არაა სალავათიანი სესხი, პირიქით, მთავრობის აგრეწოდებული „დახმარება“, დახმირების მაგიერ ზოგჯერ ხალხის განსაცდელს აორკეცებს და ხალხის წყლულს სიმწვავეს მატებს. ამ სამი-ოთხი წლის წინათაც წარმოგვივლინეს ასეთი დახმარება, შეგვპირდენ ხალხს სათესლე ფულს მოგცემთ სესხის სახით სალავათიან პირობებშიო, მაგრამ შეპირებამ არა სალავათის მომცემი რეალური ნაყოფი გამოიღო, ხალხს იმ დროს მიადგენ და მოსთხოვეს სესხის დაბრუნება, როცა ჯერ კიდევ სესხის სახით მიცემული ფულით გაკეთებული არაფერი ჩანდა და ხალხი კვლავ უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. მოთხოვნამ თქვენი ჭირი წაიღოს, მოთხოვნაცაა და მოთხოვნაც, მაგრამ იმ სახით მოთხოვნა და ვალის განაღდება იმ ზომებით, რა ზომასაც სესხის მიმცემლებმა მიმართეს, სალავათი კი არა შევიწროება იყო. ამის ბრალია სწორედ თუ ამ ჟამათაც მთავრობის მიერ ბოძებულ სესხს და დახმარებას ჩვენი გლეხები სკეპტიკური თვალით უყურებენ და ამგვარი მესხებლების არა სწამთ რა. თუმცა ოფიციალურ უწყებათა წარმომადგენლნი „უთავბოლოთ“ არც შიდა რუსეთის გუბერნიებში ფლანგავენ ფულს, მაგრამ მათი ხელმომჭირნეობა განაპირა ქვეყნებში ყოველ ნორმას მოკლებული და საზღვარ გადაცილებულია. ვნახოთ ახლა მაინც რა გზას დაადგებიან კავკასიის მართველი წრეები, როდესაც მისი უმაღლესი წარმომადგენლისადმი შეკითხვას საკანონმდებლო დაწესებულება იძლევა, თუმცა ჩვენი წარმომადგენლის გელოვანის სიტყვები სათათბიროში შიმშილობის შესახებ თქმული პესიმიზმითაა გამსჭვალული და ბევრს არას მოელის იგი იმისგან, ვინც არაერთხელ მორიდებია შეკითხვებისთვის რეალური სახე მიეცა.

**იმერი.**

# დღიური.

— ოკტომბრისტები ოპოზიციასთან ერთად კერენსკის დეპუტატობიდან გამორიცხვის წინააღმდეგ წავლენ.

— პეტერბურგში ფუტურისტებმა საკუთარი თეატრი მოაწყვეს.

— სათათბიროში კავკასიის მეფის მოადგილისადმი შეკითხვა შიმშილობის შესახებ მიიღეს.

— ჩხეიძემ აგრარიებმა გადასწყვიტეს პარლამენტში ობსტრუქციები მოახდინონ.

— ცაბერნში [illegible] დააპატიმრეს.

— მეცხ[illegible] და [illegible] შორის შეტაკება მოხდა.

— ლიეჟის (ბრიუსელს მახლობლათ) სასამართლომ დაადგინა — რუსეთს უარი უთხრას ბუიალსკის გაცემაზე.

## სახელმწიფო სათათბირო.

### 26 ნოემბრის სხდომა.

სხდომას **როძიანკო** თავჯდომარეობს.

ღებულობენ კანონპროექტს ტელეფონით სარგებლობის შესახებ. **სინადინო** აცხადებს: ერობისა და ქალაქების ფინანსების გაუმჯობესების კომისიამ შეუძლებლათ სცნო პროექტის მერვე განყოფილების გამოცალკევებაო. ფინანსის მინისტრის ამხანაგი **პოკროვსკი** ამბობს: მთავრობა დღეს საღამოს შემოიტანს კანონპროექტს ქალაქებში უძრავ ქონებაზე გადასახადების შესახებო. მიიღეს **ანტონოვის** წინადადება, რომელიც მოითხოვდა — დაჩქარებულიყო მთავრობის კანონპროექტის განხილვა, ის პირდაპირ ფინანსის კომისიას გადასცემოდა და დაავალებდა ამ მოკლე ხანში მასზე მოხსენების წარმოდგენას. მიიღეს აგრეთვე კანონპროექტი ოთხ ხუთ ადგილას პირველდაწყებითი შკოლის სალვთო-სჯულის მასწავლებელთათვის 25 მანეთის მიმატების შესახებ. **გოდნევი** სამხედრო საჭიროებაზე 6,922,770 მანეთის კრედიტის მიცემის შესახებ მოხსენებას კითხულობს. სამხედრო სამართველოს კანცელარიის უფროსის თანაშემწე ასახელებს იმ პრეტენზიებს, რომელიც გაუცხადეს უწყებას. ზოგიერთი პრეტენზია ჯარის ნაწილის სამართველომ გაუცხადა უწყებასო. **შინგარევი** იგონებს კრედიტის ამგვარათ გადადების შემთხვევას. ორატორი აღნიშნავს, რომ მაშინ ამ გადადებული ფულის ანგარიში სწორათ არ იყო ნაჩვენებიო. **ბურინოვი** მხარს უჭერს კავკასიის მეფის მოადგილის მიმართ შეკითხვას კავკასიის ზოგიერთ ადგილში ხალხის დამშევის შესახებ. **მანკოვი** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ანგარიშიდან მოყავს ციტატები დამშევის შესახებ და აღიარებს დახმარების აუცილებელ საჭიროებას. **[illegible]**, როგორც ადგილობრივი წარმომადგენელი, უარყოფს მეტათ გავრცელებულ ხმებს კავკასიის მეურნეობის მხრით სიმდიდრის შესახებ. ის ამბობს: წრევანდელი მოუსავლობა და შიმშილი განსხვავდება წინანდელი მოუსავლობისა და შიმშილისაგან. ადგილობრივი მთავრობა ხალხის დამშევას ყურადღებას არ აქცევს. გადასახადების მოკრებას ხალხში ისევ განაგრძობენ. **გელოვანი** აღნიშნავს: კავკასიაში ერობის უქონლობის გამო დამშეულთა შესახებ მზრუნველობა ადგილობრივ მთავრობას აქვს მინდობილიო. ეხება შიმშილობის შედეგს და ამბობს: ნაცვლათ იმისა, რომ დამშეულ გლეხებს დაეხმარონ და უყიდონ სიმიდი, ახდევინებენ მათ უკანონოთ ჯარიმის სახით რამდენიმე ათი ათას მანეთს. ახლა, კავკასიის მეფის მოადგილის განკარგულებით, ქუთაისის გუბერნატორმა გამოაცხადა სასურსათო მაღაზიიდან დახმარების მიღების შესახებ. დახმარების სახით მიღებული ფული გლეხებმა ორ წელს შემდეგ ისევ უკან უნდა დააბრუნონ. ფულს მისცემენ სოფლის საზოგადოებებს ურთიერთშორის ნდობით. ამგვარათ ფულის მიცემა, ცენტრალურ გუბერნიებში დაგმობილი, კავკასიაში ისევ ხმარებაშია. თვით მოვიარე ქუთაისის გუბერნია და დავრწმუნდი, რომ დახმარება აუცილებლათ საჭიროა. გელოვანი სურვილს გამოსთქვამს, რომ ამ შეკითხვას უფრო კარგი ბედი ეწვიოს, ვიდრე წინანდელ შეკითხვას კავკასიის რეფორმების შესახებ და შეკითხვაზე პასუხი მალე მოსულიყოს. შეკითხვას უკამათოდ ერთხმათ ღებულობენ: **სუხანოვის** სიტყვას შემდეგ სამხედრო უწყების მოხელეთა ოჯახის დახმარების შესახებ, პროექტი მიიღეს. **შახოვი** მხარს უჭერს მთავრობისადმი შეკითხვას სახაზინო დაწესებულებებსა და რკინის გზის სამართველოებში მოსამსახურე პირთა ავათმყოფობის დროს უზრუნველყოფის შესახებ. **ტულიაკოვი** აღნიშნავს სახაზინო ქარხნებში მუშათა მდგომარეობას. შეკითხვას ასეთი რედაქციით ღებულობენ: რა მოსაზრებით არ შემოიტანეს საკანონმდებლო დაწესებულებაში საზღვაო საქმეთა, გზის უწყებისა და სამხედრო მინისტრებმა სახაზინო დაწესებულებაში მოსამსახურეთა ავათმყოფობის დროს უზრუნველყოფის შესახებ წინადადება და ან როდის შემოიტანენ ასეთ წინადადებას? მორიგ საქმეთა შორის არის თავჯდომარის ამხანაგის არჩევა. ასახელებენ კანდიდატებს. **ვარუნ-სეკრეტს** 143 დეპუტატი ასახელებს. სხვებს კი 15 ნაკლები. კენჭი უყარეს და ვარუნსეკრეტმა მიიღო 204 თეთრი და 108 შავი. დანარჩენი კანდიდატები კენჭის ყრაზე უარს ამბობენ. ვარუნსეკრეტი თავჯდომარის ტრიბუნაზე ადგილს იჭერს. მის ტრიბუნაზე ასვლას ცენტრი ტაშისცემით ეგებება. კონოვალოვი თავჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე კენჭის ყრაზე უარს ამბობს. მაშინ თავჯდომარის უფროს ამხანაგათ ერთხმათ ირჩევენ ვარუნსეკრეტს. იხილვენ საზღვაო მინისტრის მიმართ მიმართულ შეკითხვას ობუხოვის ქარხანაში მუშათა შრომის პირობების შესახებ, სადაც შრომის პირობებმა მუშათა ეკონომიური გაფიცვაც კი გამოიწვია. **ბადაევი** შეკითხვას მხარს უჭერს და მოუთხრობს სათათბიროს გაფიცვის ისტორიას. აღნიშნავს: — გაფიცვა შრომის აუტანელმა პირობებმა გამოიწვიაო. სამუშაო დღე 12 საათს აღემატებოდა, მუშებს ამუშავებდენ ზედმეტ დროს, შრომის ფასს ძლიერ მცირეს აძლევდენ და სამედიცინო დახმარებაც ვერ იყო მოწყობილიო. შემდეგი სხდომა ხვალ.

## დეპეში.

(საკუთარი კორესპონდენტი)

კავკასიის მეფის მოადგილის მიმართ საქართველოში შიმშილობის თაობაზე შეკითხვა მიიღეს. დეპ. ჩხეიძე, რომელმაც პირველათ მოაწერა ხელი ამ შეკითხვას სათათბიროში არ ყოფილა. გელოვანი მომხრე იყო შეკითხვის და ეჭვს გამოსთქვამდა, რომ კავკასიის ადმინისტრაცია, რომელიც წლობით უყურადღებოთ სტოვებს არსებით შეკითხვებს, გულით მოეკიდება ამ რეალურ კეთილ საქმეს.

## ახალი ამბავი.

დ. ბაღდადში შემაძრწუნებელი უბედურება დატრიალებულა. ერთი მოსახლისას მისულან ჩარვადრები ღვინის საყიდლათ. გლეხს ქური მოუხდია და ღვინის ჰაშნიკი მიუწოდებია მყიდველებისათვის. დაულევიათ თუ არა ღვინო, ორივე ჩარვადარი იქვე მომკვდარა. ამ მოვლენის გამოსაკვლევათ გლეხისას მისულა ბოქაული და ღვინის პატრონისთვის უთქვამს — ღვინო ხომ არ მოგიწამლავსო. მაშინ გლეხსაც დაულევია იმ ქურის ღვინო, რადგან არაფერ ცოდვას არა გრძნობდა და თავი დამნაშავეთ არ მიაჩნდა, ცხადია. მაგრამ დალევისათანავე იგიც იქვე წაქცეულა მკვდარი. ქურში აღმოუჩენიათ დამპალი გველები.

✦ მიწისმოწყობისა და მიწისმოქმედების უმთავრესმა სამართველომ კავკასიის მხარეში ტყეების დამცველი კომიტეტების დაარსების შესახებ პროექტი შეიმუშავა და სათათბიროში შეიტანა.

✦ ვინმე გ. კესაშვილს აკაკის „ბაში-აჩუკი“ ხუთ მოქმედებიან დრამათ გადაუკეთებია. დრამა აკაკის მოწონებია.

✦ ავიატორი ქებურია ამ მოკლე ხანში ფოთში იფრენს. მას ეს ორი კვირა რამდენჯერმე განუზრახავს ფრენა, მაგრამ ცუდ ამინდს ყოველთვის ხელი შეუშლია.

✦ წებელდაში (სოხუმის ოლქი) დაარსებულა წვრილი კრედიტის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. გამგეობის თავჯდომარეთ აურჩევიათ ა. პ. მესხი, სა-

## სახელმწიფო სათათბირო.

(სტენოგრაფიული ანგარიში).

### 8 ნოემბრის სხდომა.

სხდომას **ვოლკონსკი** თავჯდომარეობს. იხილვენ საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს ჯარის კაცათ გასაწვევ ახალგაზრდათა ასაწონათ ახალი სისტემის სასწორების შემოღებისას. არის აგრეთვე სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრის მიერ შემოტანილი რამდენიმე წვრილი კანონპროექტი. კანონპროექტები აქვთ წარმოდგენილი სინოდის ობერპროკურორსა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრსაც. ეკლესიების აგებისა და შეკეთების შესახებ კანონპროექტის მომხსენებლათ პაპჩინსკი გამოდის. **კერენსკი** ლაპარაკობს დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების შესახებ და გაკვირვებას გამოსთქვამს, თუ რისთვის უარყოფენ ადამიანთა ამ ერთს საუკეთესო უფლებას, რომელიც აღიარა საფრანგეთის კონსტიტუციამ 1791 წელს. ორატორს თავჯდომარე რამდენჯერმე აწყვეტიებს სიტყვას და წესიერებისაკენ მოუწოდებს.

შემდეგ მსჯელობენ უმაღლესი შკოლების ავტონომიის შესახებ. შეკითხვა განათლების მინისტრის მიმართ, პეტერბურგის უნივერსიტეტში 23 ოკტომბერს მომხდარი ამბის გამო, მიიღეს.

**შეკითხვა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ.**

სათათბიროს მდივნის ამხანაგი რუევსკი კითხულობს: „ბ-ნ. სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის სოფლელებისაგან მოკრიფეს უკანონოთ გადასახადი. 1912 წელს შორაპნის მაზრის პოლიციის მოხელეებმა მოიარეს სოფლის საზოგადოებები და ყაჩაყების დამალვა დააბრალეს. საქმის გამოუძიებლათ, ამ ბრალდების გამო, სოფლელები დააჯარიმეს. თითოეული საზოგადოება სოფლის ყრილობაზე შეკრიბეს. აქ გლეხებს მაზრის უფროსმა გამოუცხადა: „მაქვს კერძო ცნობები იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებაში გაიარეს ყაჩაღებმა. ვინაიდან თქვენ ადგილობრივი მცხოვრებლები ხართ და ყაჩაღი კი არ დაიჭირეთ გაჯარიმებთ ამდენი და ამდენითო“. ის იქვე აძლევდა სოფლის მამასახლისს განკარგულებას, რომ დარაჯების დახმარებით სამი დღის განმავლობაში ჯარიმა შეეკრიბათ. ჯარიმის სახით თითოეული კომლისაგან იღებდენ 5 მანეთს. ამასთანავე ჯარიმის გადამხდელს აძლევდენ კვიტანციას სოფლის მამასახლისის ხელმოწერილს და სახაზინო ბეჭედ დაკრულს. კვიტანცია ასეთი შინაარსის იყო: კვიტანცია № 1912 წ. ამა და ამ თვეს და დღეს, აღებულ ა ამდაამ პირისაგან, ქუთაისის გუბერნიის უფროსის, 9 მარტს და 13 აგვისტოს 1912 წელს განკარგულებით, ყაჩაღის დამალვისათვის 5 მანეთი. არსებული ცნობების მიხედვით ამგვარათ შეკრებილი ფულის რაოდენობა 15 ათას მანეთამდეა. სად არის ეს ფული დღეს და ან რა დანიშნულებას მოხმარდა, არ არის გამორკვეული. ორი წლის წინათ ქუთაისის გუბერნატორმა მოწერილობა გაგზავნა, რომ შორაპნის მაზრაში მოკლული ბოქაულის ნემსაძის ოჯახის სასარგებლოთ ფული შეეკრიბათ. ხსენებული ფული ფიცხლათ შეკრიბეს და მისი რაოდენობა 13,500 მანეთი იყო. ფულის მოკრებით გაბრაზებულ მცხოვრებთა შიშით, ნემსაძის ოჯახობამ ამ ფულის მიღებაზე უარი სთქვა და სთხოვა გუბერნატორს: ეს ფული ან დაებრუნებიათ სოფლელებისათვის, და ან მაზრის საკეთილდღეო საქმეს მოხმარებოდა. ნემსაძის ოჯახობის ეს თხოვნა შეიწყნარეს, ხოლო ამ ფულის ამბავი არავინ უწყის. ორივე ხსენებულ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ადმინისტრაციის უფლების გადაჭარბებას. კანონის ძალით გუბერნატორის ვალდებულებას შეადგენს, რომ თვალყური ადევნოს, რათა მცხოვრებლები უკანონოთ არ დაისაჯონ. არც საგუბერნიო დაწესებულება, არც კავკასიის მხრის სამართველო და არც სხვა კანონი გუბერნატორს მცხოვრებლებისაგან ამგვარათ გადასახადების აკრების უფლებას არ აძლევს. საგანგებო დაცვის წესების დროსაც კი არ ენიჭება გუბერნატორს უფლება ამ სახით ფულის მოკრებისა. მან ფულის მოკრება მაშინაც კი განსაზღვრული კანონის მიხედვით უნდა მოახდინოს. ეს კანონი ასეთი შინაარსისაა: სოფელზე ჯარიმის გაწერა ოლქში უნდა ხდებოდეს უმაღლესი მთავრობის — გუბერნატორის განკარგულებით, ხოლო სადაც გუბერნატორს არ ემორჩილება ოლქი, იქ კი გრადონაჩალნიკის განკარგულებით. ჯარიმის გაწერა შეიძლება საზოგადოებაში მშვიდობიანობისა და წესიერების შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო. ზემო მოთხრობილი შემთხვევის დროს არავითარი ასეთი სავალდებულო დადგენილება არ იყო გამოცემული, არც შეიძლება ყოფილიყო ასეთი სავალდებულო დადგენილება, ვინაიდან ისეთი დანაშაულობა, როგორიც არის ყაჩაღების დაფარვა ადმინისტრაციის განკარგულების საგანს არ შეადგენს. ადმინისტრატიული წესით ამგვარი ბრალდების გამო სოფლის ამ სახით დაჯარიმება სისხლის სამართლის დებულებასაც ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ნემსაძის ოჯახობის სასარგებლოთ ძალდატანებით ფულის შეკრებას, ამას რუსეთის იმპერიის არცერთი კანონი გუბერნატორს არ აძლევს. პირიქით, კანონის 294 მუხლის, ძალით გუბერნატორებს ისეთი გადასახადების მოკრება ეკრძალებათ, რომელიც კანონში არ არის აღნიშნული. ზემოთ მოთხრობილ ამბავს შემდეგ ჩვენ ამ შეკითხვაზე ხელისმომწერნი ვადგენთ სათათბიროში შეკითხვას შინაურ საქმეთა მინისტრისა და კავკასიის მეფის მოადგილის მიმართ და ვეკითხებით: იციან მათ თუ არა ზემო მოყვანილი შემთხვევა კანონის დარღვევისა, და თუ იციან კანონის აღსადგენათ და დამნაშავე პირების სამართალში მისაცემათ რა ღონისძიების მიღებას აპირებიან?“ (ხმაურობა მარჯვნივ. თავჯდომარე ზამისლოვსკისა და ვიშნევსკის პირველს შენიშნავს: — ნუ ხმაურობთო). შეკითხვის სასწრაფოთ მიღება გადასწყდა. ნაკაზის 103 მუხლის ძალით შეკითხვის სიჩქარით მიღების სასარგებლოთ ლაპარაკობს დეპუტატი გელოვანი.

**გ. გელოვანი.** ბატონებო, ჩემი ლაპარაკით დიდხანს არ მოგაცდენთ. ვიცი, რომ ყოველგვარ შეკითხვას სათათბიროს ზოგიერთი სკამიდან უარყოფით ეგებებიან. შეკითხვა რომ არ შემომეტანა და მისი მიღება ჩქარი წესით არ მომეთხოვა, ჩემი მოვალეობა არ მექნებოდა მოხდილი. მე არ გავჩერდები იურიდიულ მოსაზრებაზე. რომლის განმარტებაც შემეძლო, ხოლო ერთი რამე კი არის ცხადი: — ჩემს განკარგულებაში არის რამდენიმე ათი კვიტანცია, რომლის შინაარსიც ასეთია: ამადაამ დროს გუბერნატორის განკარგულებით აღებულია ხუთი მანეთი ყაჩაღების დაფარვისთვის. საკითხავია, თუ ამდაამ პირს ყაჩაღების დამალვა ბრალდება, რისთვის არ აძლევენ მას სამართალში? ჩვენ ვიცით, რომ კანონი ყაჩაღის დამფარველს დიდათ სჯის. თუ დავეთანხმეთ ქუთაისის გუბერნატორს სრულიად საკმაოა 5 მანეთის გადახდა მძიმე სასჯელის გამოსასყიდათ. ბ. ბო! მე ვფიქრობ, და სათათბიროც დამეთანხმება, რომ ჯარიმის გაწერა კანონის განსაზღვრული მუხლების მიხედვით უნდა ხდებოდეს. სახელდობ კავკასიაში უმაღლესი მთავრობის მიერ, კავკასიის მეფის მოადგილის გრაფის ვარანცოვ-დაშკოვის მიერ და ასეთი განკარგულებაც მისგან უნდა გამოდიოდეს. შევეკითხე მეფის მოადგილის საბჭოს: როდის და რა პირობებში გააწერა მან შორაპნის მაზრას ჯარიმები; საბჭოსაგან პასუხათ მივიღე: ამის შესახებ სრულიად არაფერი ვიცითო. ასე, ამ რიგათ, ადმინისტრაცია კანონის სწორი აზრის წინააღმდეგ მოქმედებდა სრულიად თავის ნებით, როდესაც სოფელს ჯარიმას აწერდა და დ იკრიფებოდა ფული, დ არვინ უწყის, სად მიდიოდა ეს ფული. ჩემის აზრით ყოველივე ეს საკმაოა შეკითხვის პირველი ნაწილის სასწრაფო მიღების საჭიროების დასამტკიცებლათ. ორ სიტყვას ვიტყვი მეორე შემთხვევის შესახებაც: რამდენიმე წლის წინათ იმავე შორაპნის მაზრაში ვიღაც უცნობმა პირებმა მოკლეს პოლიციის ბოქაული და დამნაშავენი დღესაც არ აღმოჩენილან. ადმინსტრაციამ მოკლულის ოჯახი შეიბრალა და ამ ოჯახის უზრუნველსაყოფათ მაზრის მცხოვრებთ ჯარიმა გააწერა, რომლის რაოდენობაც 13 ათას მანეთს აღემატებოდა. ეს ფული შეიკრიბა სამი დღის განმავლობაში. როდესაც განსვენებულის ოჯახობამ გაიგო რომ მცხოვრებლებისაგან მისთვის ფულს კრებდენ, უარი განაცხადა ამ ფულის მიღებაზე. უარი თქმის მიზეზათ დაასახელა ის გარემოება, რომ ამ ფულის გადახდა უჭირს მცხოვრებლებს და, რომ ავილოთ, მცხოვრებლებს გადავიმტერებო. ამ მოსაზრებით მან ითხოვა, რომ ეს ფული ან დაებრუნებიათ უკანვე სოფლელებისათვის, და ან მაზრის მცხოვრებთა სასარგებლო საქმეზე მოეხმარათ. ამ განცხადებას შემდეგ გავიდა ორი წელიწადი, ხოლო 13 ათასი მანეთი ფული კი ვის ხელშია, არ იციან. ცხადია, მხოლოდ ერთი რამე, არც განსვენებულისა და არც სოფლელთა მოთხოვნილება არ დაკმაყოფილებულა. ვთხოვ სათათბიროს მიიღოს სასწრაფო წესით ეს შეკითხვა და მით ქუთაისის ადმინისტრაციის უკანონობას საზღვარი დაუდვას. ვარწმუნებ სათათბიროს, მიუხედავათ მინისტრთა საბჭოს რწმუნებისა — რომ ჩვენი სიტყვა პეტერბურგიდან ას კილომეტრს იქით არავის ესმისო, თუ ამ შეკითხვას მიიღებს, ეს ღრმა გამოხმაურებას გამოიწვევს შორეულ განაპირა ქვეყანაში, რომელიც პეტერბურგს 4500 ვერსითაა დაშორებული.

თავჯდომარე აცხადებს, რომ მსჯელობა დასრულებულია და კენჭის ყრას შეუდგეთო. აღიარებს სათათბირო შეკითხვის სასწრაფოთ მიღებას თუ არა. სათათბირომ შეკითხვის სასწრაფოთ მიღება სასურველათ სცნო.

ბჭოს თავჯდომარეთ ა. მუნჯიანცი, მოლარეთ ა. ზეითუნიანცი და მოანგარიშეთ ო. ჩავარიანცი.

✦ დღეს „რადიუმში“ „სასოფლო გაზეთის“ სასარგებლოთ სეანსები გაიმართება „სასოფლო გაზეთი“ საგულისხმო ორგანოა ჩვენი ქვეყნისთვის და საზოგადოება მოვალეა თავისი წვლილი არ დაიშუროს! ამ გაზეთისთვის, რომელიც ბევრს სასარგებლო ცნობას აწვდის ჩვენს მეურნეებსა და გლეხობას.

✦ „სახალხო გაზეთი“ ცნობას გადმოგვცემს, რომ პოლიტეხნიკუმი საბურთალოს ნაცვლათ ნავთლუღში იქნებაო. რამდენათ მართალია ეს ცნობა, ჯერ ოფიციალურათ გამორკვეული არაა.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი ა. ი. სლავოჩინსკი ორი თვით დასასვენებლათ მიემგზავრება. მისი თანამდებობის ასრულებას პირველი დეკემბრიდან თფილისის პოლიცმეისტერი გენერალ-მაიორი ზასიპკინი შეუდგება.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს მოხელეთ შერიცხული კვიდია რაჭის მაზრის მომრიგებელ შუამავლათ ინიშნება.

✦ ოზურგეთის მაზრის სოფელ ვაკის ჯვარში მაგნიტის მაღანი ამოუჩენიათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ძველი-სენაკის მომხმარებელი კოოპერატიული საზოგადოების „შრომის კავშირის“ წესდება.

✦ როგორც „სახ. გაზეთი“ იუწყება ადესაში ქართველ სტუდენტთა ერთ ჯგუფს რესტორან „ბოვარიაში“ დიდი უწესოება ჩაუდენიათ. დაუმსხვრევიათ რესტორანი: სკამები, სუფრები, ჭურჭელი და სხ. ერთი მსახიობი ქალისათვის და რესტორანის პატრონის ცოლისათვის სილაკ გაურტყამთ, სამი მათგანი: მ. კვი—ძე, ს. ბერ—ლი და ი. მა—იანი დაუპატიმრებიათ. საქმე „გრადონაჩალნიკისათვის“ გადაუციათ.

✦ ბათომში ნახევარ მილიონზე მეტი ფუთი მექსიკის ნავთი მოუტანიათ გემებით ამიერ-კავკასიის რკინისგზებისათვის.

✦ ბათომის ქალაქის საბჭოს დაუდგენია ბათომში საქალაქო დებულების შემოღების 25 წლის თავის აღსანიშნავათ ქალაქის მეოთხე ნაწილში ე. ი. მუშათა უბანში უფასო სახალხო ბიბლიოთეკა—სამკითხველო გახსნას.

✦ როგორც გაზეთები იუწყებიან საყანულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების საორგანიზაციო ბიუროს თავჯდომარეთ ნაცვლათ სენატორი ვატაცისა თფილისის აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლს კ. აფხაზს ნიშნვენ.

# აქ-იქაური.

ბეჭდვითი სიტყვა, მწერლობა—ეს ის წმინდა სავანეა, სადაც გრძნობა სიფაქიზისა, სილამაზისა და მართებულობისა უნდა მეფობდეს.

ბეჭდვითი სიტყვა -ეს ის წვერ-წამახული და ორივე პირ-ნალესი იარაღია, მკვეთრი, ბასრი მახვილი, რომელიც ყოველი მხრით სჭრის... იგი, გრდემლისა და უროს შუა მომწყვდეული, აწრთობს და აფოლადებს აზრს...

და ამ რიგათ მოვლილსა და დაცულს ამ ბეჭდვით სიტყვას ფასი და ღირებულობა არაოდეს არ დაეკარგება... მის ფრთებ ქვეშ ხალხი მუდამ მოწიწებით ქედს მოიხრის და გულს ჩაიბეჭდავს ასე თქმულსა და დაწერილს... დიახ, გულს ჩაიბეჭდავს დიდი ხნით, საუკუნოთ. ამიტომაა, რომ ხალხი ხშირად იმეორებს და იტყვის დიდი კაცებისგან ნათქვამს დიდს სიტყვებს...

ხოლო უწმაწური და უხეში სიტყვების გავლენა წამიერია, ხანმოკლეა... იგი რყვნის, ათახსირებს ხალხის გრძნობა-გონების სალიაროს და ხანგრძლივ ვერ დაისადგურებს იქ.

და იქონიონ სახეში, საქმეში მიაკერონ ეს იმ ჯურის მწერლებმა, ვინც ჩვენს წინააღმდეგ უწმაწურ ლექსთა კონებს კვრენ..., მიხვდენ, გაიგონ, რომ ეს მოვლენა მხოლოდ მათს უწმაწურობას მოწმობს და ასეთ ლექსთა კონებს ხალხი გულში არ ჩაიკონებს.

დ.

# ბანკის რწმუნებულთა კრება

25 ნოემბერი.

კრება 7 1/2 საათზე გაიხსნა. სიმონ წერეთელმა მოახსენა კრებას, რომ გუშინდელი თავჯდომარე თავ. ლორთქიფანიძე ავათ გახდა და გთხოვთ მის მაგიერ სხვა აირჩიოთ ვინმეო... ერთხმათ დაასახელეს ნიკო თავდგირიძე. ეს უკანასკნელი უარს ამბობს, მაგრამ ბევრ თხოვნას შემდეგ თანხმდება. კენჭი უყარეს მას და, 55 ხმით წინააღმდეგ 1-სა, აირჩიეს. კრება ამ არჩევას ტაშისცემით მიეგება. არჩეულმა კრებას მადლობა გადაუხადა და თან სთხოვა, რომ განსახილველი კითხვები დღესვე გაეთავებიათ, რადგანაც იგი ხვალ აუცილებლათ ქუთაისიდან უნდა წავიდეს... ამას შემდეგ კრების მდივანი ბ. პეტრე ყიფიანი კითხულობს წასული კრების ოქმს...

— მ. ფალავა: აქციონერული ბანკების წარმომადგენელთა კრებაზე მიღებულ იქნა ფინანსთა მინისტრის წინადადება, რომ საადგილმამულო ბანკებმა გირავნობის ფურცლების მოსპობა ბირჟაზე ყიდვით შესცვალონ პირდაპირ ტირაჟითა, და თუ ეს დაკანონებულ იქნა, ამით ჩვენს ბანკს წლიურათ ზარალი მოუვა არა ნაკლებ 50,000 მან. ვიშუამდგომლოთ მინისტრის წინაშე, რომ ეს პროექტი არ შეეხოს ჩვენს ბანკს.

წინადადებას ერთხმათ ღებულობენ.

მ. ფალავა წინადადებას იძლევა დეპეშით ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს, რომ ჩვენი ბანკის საოპერაციო რაიონს შეუერთონ გაგრის რაიონი, რომელიც სოხუმის ოლქიდან გამორიცხვამდი ჩვენი ბანკის საოპერაციო რაიონში შედიოდა. აგრეთვე მისი უმაღლესობა ოლდენბურგის პრინცი წინადადებას იძლევა, რომ მისი მამული, რომელიც მდებარეობს გაგრაში, ჩვენ დავიგირავოთ.

იოსებ კაკაბაძე. გაგრის მხარე იმ ადგილის ნაწილია, სადაც ჩვენი მამულები უცხოელების ხელში გადადის, რის გამოც ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ მხარეს და ვეცადოთ, რომ ჩვენი ბანკის ოპერაციები იმ ადგილებში გავაფართოოთ.

კრება წინადადებას ღებულობს.

კრებამ აგრეთვე სურვილი გამოსთქვა, თუ გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა საჭიროთ დაინახა, წარუდგენ მის უმაღლესობას ოლდენბურგის პრინცს და სთხოვონ დახმარება აღძრულ შუამდგომლობის შეწყნარებისთვის.

თავჯდომარე შტატების შესახებ წამოაყენებს საკითხს. აქიმი ნაზაროვი უთითებს წარმოდგენილი პროექტის გაუმჯობესებაზე და სთხოვს მის განმარტებას.

თავადი ს. მიქელაძე დაწვრილებით უხსნის კრებას ფინანსიური კომისიის მოხსენებას შტატების შესახებ.

ალ. კრონიძე. ბუღალტერიის საქმე არ არის მოწესრიგებული. მთავარ ბუღალტერს არა ყავს უფროსი თანაშემწე, რომელსაც შეეძლოს მისი მაგიერობის გაწევა. ბ. ქორქოლაძე, რომ წავიდეს იძულებული ვიქნებით ისევ სვანიძეს მივმართოთ; გარდა ამისა შემოსავალ-გასავლის ორდერებზე მთავარი ბუღალტერი ზოგიერთ შემთხვევაში ხელს არ აწერს, რაც შეუწყნარებელია.

თ. ფალავა. მთავარ ბუღალტერს ყავს სამი თანაშემწე, რომელნიც ისე მომზადებული არიან, რომ ყოველთვის შესძლებენ მთავარი ბუღალტრის მაგიერობას.

გ. ჭილაძე—აღნიშნავს ბანკის უნუგეშო მდგომარეობას. მოყავს ციფრები, რომლითაც ჩვენ ბანკს ადარებს სხვა ამგვარ ბანკებს და დაასკვნის—ჩვენი ბანკის ჩამორჩენას. მოსამსახურეთა ჯამაგირის ყოველგვარი მომატების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ სამართლიანათ ვსცნობ, მოხდეს გათანასწორება იმ მოსამსახურეთა ჯამაგირებისა, რომელნიც ერთნაირ საქმეს ასრულებენ.

იოსებ კაკაბაძე: საუბედუროთ ისე ვრცლათ ვერ შევეხები საკითხს, როგორც საჭიროა, რადგანაც საქმესთან გაცნობილი არა ვარ. როცა კომისია მუშაობდა—ეტყობა, რომ ის საქმეს ზევიდან იწყებდა... დიდებს უმატებდა ბევრ ჯამაგირს, პატარებს—მცირეს. ვკითხულობ: სამართლიანია ეს თუ არა? არაა სამართლიანი... როდესაც აფასებენ შრომას—აფასებენ თვით საქმეს, ადგილობრივ პირობებს, აგრეთვე მხედველობაში აქვთ შრომის კონკურენცია... არ არის ბანკის მდგომარეობა ნორმალური, თვით წარმოებაც და მიტომ წინააღმდეგი ვარ კომისიის მოხსენებისა.

ბ. მოსეშვილი ემხრობა ჭილაძესა და მომხრეა იმისა, რომ მოსამსახურეთა რიცხვი შემცირდეს, სამაგიეროთ დარჩენილმა მოსამსახურეებმა მეტი იმუშაონ. აქ მას მოყავს რუსეთის ბანკების მოსამსახურეთა მუშაობის მაგალითი; ამბობს, რომ იქ მოსამსახურეები საღამოს 7—8 საათამდი მუშაობენო. ცოტა მოგვიმატონონ—ერთი ნახევარი საათი—ჩვენი ბანკის მოსამსახურეებმა, საქმეები გამოკეთდება და მერე ჯამაგირებიც მივუმატოთ.

გ. ზდანოვიჩი დასაბუთებული სიტყვებით აბათილებს ყველა მოწინააღმდეგეთა დებულებებს და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ შრომა ღირსეულათ უნდა დაფასდეს და ჩვენ კი, სხვა ბანკებში მოსამსახურეთა შედარებით, ძალიან მცირეთ დავაფასეთ მათი შრომა. სულ ჩვენი პროექტით ემატება 9000 მანეთი, რომლის მომატებასაც შემდეგ ჩვენი მოსამსახურეთა ჯამაგირის ორთაშუა რიცხვი ორჯერ ნაკლებია თფილისის ბანკის მოსამსახურეთა ჯამაგირებზე. ჩვენს მოსამსახურეებს შარშან საპენსიო კასა შევაცვლევიეთ და პირობა მივეცით, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რისთვისაც ავირჩიეთ ფინანსიური კომისია. ჩვენ სავსებით არ შეგვისრულებია მოსამსახურეთადმი ჩვენი დაპირება, რაც შემდეგში უნდა გავასწოროთ. გამგეობის წევრებს ემატება 2400 მანეთი, დამფასებლებს—2100 მ. და ყველა დანარჩენ მოსამსახურეებს (45 კაცს) 3790 მანეთი. ამის წინააღმდეგ ლაპარაკი ყოვლად უსაფუძვლოა.

გ. ბარათაშვილი: როდესაც კომისიას ვირჩევდით, ყველას მხედველობაში გვქონდა მოსამსახურეთა უზრუნველყოფის მოწესრიგება. ჩვენ საფუძველი არა გვაქვს კომისიას უნდობლობით ვუყუროთ და ამიტომ მას სრულ ნდობას ვუცხადებთ.

ალ. კრონიძე. გიორგი ზდანოვიჩის სიტყვებს შემდეგ არაფრის თქმა საჭირო არ არის, ის გადამწყვეტია ყველაფრის. ბანკის შემოსავალი გაიზარდა. ამბობენ: ჩვენი გიმნაზია ცუდ მდგომარეობაშიაო... რატომ ჩვენ არ უნდა მოვიკლოთ მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მაინცადამაინც მოსამსახურეთ მოვაკლოთ.. ბ. მოსეშვილი მისი ოჯახის შესანახავათ ხარჯავს წლიურათ არა ნაკლებ 5—6 ათას მანეთისას და ჩვენი მოსამსახურეთა მდგომარეობას კი არ უკვირდება.

თავჯდომარე საკითხს გამორკვეულათ სცნობს და თავისი მხრით კი წინადადებას იძლევა ნაცვლათ ჯამაგირების მომატებისა—მოსამსახურეთ მიეცეს მოგებიდან რამოდენიმე %.

გ. ზდანოვიჩი. ეს კითხვა კომისიაში ირჩეოდა, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებლათ ვიცანით.

კრება მეორე დღისთვის გადაიდვა.

# ხმა პეტერბურგიდან.

**პროფ. ნ. ი. კარეევის იუბილე.**

13 ნოემბერს უნივერსიტეტში იუბილე გადაუხადეს პროფ. კარეევს, 40 წლის მოღვაწეობის გამო.*)

მრავალი სიტყვა წაიკითხეს ამ დღესასწაულზე სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომელთაც პატივცემული იუბილიარი სათითაოდ უპასუხებდა.

იუბილე დაიწყო უნივერსანტთა ადრესით, რაც ნათლათ გვაჩვენებს პროფესორის მიერ დამსახურებულ სიყვარულსა და მხურვალე თანაგრძნობას. „გლეხთა საკითხი, ყოველი მხარის ისტორია, ისტორიის ფილოსოფია და სხვა ბევრი—სთქვა დელეგატმა:—მომწყვდეული იქნა ერთ ცენტრში, სუყველაფერმა იპოვა თავისი ცენტრი და ეს უკანასკნელი იყო თქვენი პიროვნება. არ დარჩენილა საკითხი რომელშიც თქვენ არ მიგეღოსთ მხურვალე მონაწილეობა და, ვიბედოვნებთ, რომ თქვენ გაყვებით თქვენს მიერ გაკაფულ კვალს... თქვენ მარდათ შეხვდებით იმ განთიადს, რომელიც თანდათან გვიახლოვდება. და ჩვენ კვლავ გვწადია შევხვდეთ თქვენს ნათელსა და თავისუფალ პიროვნებას—მხოლოდ თავისუფალ უნივერსიტეტშიო“...

ამგვარი მოლოცვები—უპასუხა კარეევმა—და თანაგრძნობა ჩემი შრომისადმი მამხნევებს და აორკეცებს, აძლიერებს ჩემს ენერგიასა და ძალასო. არცერთ სარბიელს არ ვაფასებ ისე, როგორც საპროფესორო მოღვაწეობასო. ჯერ კიდევ ბავშობისას მე პაგნეტიური ძალით მიზიდავდა თავისკენ ამგვარი საქმე. არ შემეძლო არ გამეზიარა სხვისთვის, თუ რამ ვიცოდი. და არც შემიძლია წარმოვიდგინო ისეთი ცოდნა, რომელიც ღრმათ ჩამარხული რჩება ერთ პიროვნებაში, და მხურვალებითა და აღტაცებით არ უზიარებს სხვებს... ჯერ კიდევ ბავში ვიყავ, როდესაც ბებია ჩემმა მიწინასწარმეტყველა პროფესორობა—შენ აქიდანვე გეტყობა, პროფესორი უნდა გახდეო. მეუბნებოდა ის—და ეს მართლაც ასე მოხდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მე თავიდანვე არ ამირჩევია ის საგანი, რომელსაც ახლა ვემსახურები, ესე იგი ისტორია. პირველათ მე ძალიან მაინტერესებდა ფონეტიკა და საზოგადოთ ლინგვისტიკა. შემდეგ შევუდეგი ფოლკლორის (фолькоръ) შესწავლას და მხოლოდ ამას შემდეგ გადავიხარე ისტორიისკენ, რომელშიც ვპოვებდი საზოგადოებრივი საკითხების ღრმა განმარტებას. ისტორია ეს ის ხეა, რომლის ფესვებიც ღრმათ არის წასული მიწაში და შტოები კი მაღლა ყოველი მხრით გაშლილი. და მეც შევუდექი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საგნის შესწავლას და ყოველთვის ვცდილობდი მიმეწოდებია ფართო მასისთვის ის, რაც მას ესაჭიროებოდა. და ახლა რას ვხედავ, რას ამტკიცებს ეს მოლოცვები თუ არა იმას, რომ ჩემი მუშაობა იყო ხალხისთვის საჭირო. მადლიერი ვარ განგებისა, რომ დამაყენა ნამდვილ გზაზე და მეც ძველებურის მხნეობით გავყვები ამ გაკვალულ გზასო—დაასრულა იუბილიარმა.

შემდეგ წაიკითხეს ადრესი პსიხონევროლოგიური ინსტიტუტის პოლიტეხნიკუმის, ქალთა უმაღლესი კურსების, პოლონელი ახალგაზდობის, სოც.-დემოკრატიული ჯგუფის, სტუდენტების საისტორიო-სამეცნიერო წრისა და სმოლენსისა და მოსკოვის სათვისტომოთა წარმომადგენელთა.

„არის თქვენს მოღვაწეობაში—დაიწყო პოლონელი ახალგაზდობის დელეგატმა:—რაღაც ძვირფასზე უძვირფასესი პოლონელთათვის. თქვენ შეუდექით პოლონეთის საკითხის შესწავლასა და განმარტებას იმ „მეცნიერული მიუდგომლობით“ (ვამბობ თქვენივე სიტყვებით), რომელიც ნათლათ ახასიათებს მთელ თქვენს მოღვაწეობას. თქვენამდი არ იყო წიგნი პოლონეთის ისტორიის შესახებ, სადაც საპატიო ადგილი არ ქონდა დათმობილი ტენდენციას და თქვენ თვისი ძლევამოსილი სიტყვის ძალით გაამჟღავნეთ პოლონეთის საკითხი და გამოაღვიძეთ საგათას ძალისაგან ხალხი, რომელსაც ურცხვათ ესხმებოდა თავზე ლაფი. თქვენ, პატივცემულო ნიკოლოზ ივანეს ძევ, შეგხვდებათ თავისუფალ უნივერსიტეტში, თავისუფალ რუსეთში თავისუფალი სიტყვა პოლონელი ახალთაობისაო“.

გრძნობით სავსე იყო იუბილიარის პასუხი, რომელიც მან ასე დაამთავრა: „დადგება დრო, როდესაც ორივე ხალხი გაერთსხეულდება, გაერთიანდება, ისე, როგორც პუშკინი და მიცკევიჩი ერთი მანტიით თავშეფარული ერთად იდგნენ პეტრე დიდის ძეგლის წინ“.

ყურადღების ღირსია იუბილიარის პასუხი, რომლითაც მან მიმართა ქალთა კურსების დელეგაციის წევრს:

„,გთხოვთ უგულითადესი მადლობა გადასცეთ თქვენ ამხანაგებს—უპასუხა მან;—რადგან მე თქვენს კიდევ შეგხვდებით კურსებზე დანიშნულ იუბილეზე, აქ დავკმაყოფილდები შემდეგით. ახლათ დასრულებული მქონდა უნივერსიტეტი, როდესაც მე მასწავლებლათ მიმიწვიეს მოსკოვში ქალთა კერძო გიმნაზიაში. აი, აქ სწორეთ დავრწმუნდი, რომ არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს ვაჟსა და ქალის შორის სწავლების მხრით. ხსენებულ გიმნაზიაში ასწავლიდენ აგრეთვე ძველ ენებს და მოსწავლეები გადიოდენ ისტორიასა და სხვა საგნებს იმ სისრულით, როგორითაც გადიან ვაჟები. მეცნიერების წინაშე არ არის მამაკაცი და არც დედაკაცი. არის მხოლოდ ადამიანი, რომელიც თავისი ნიჭისა და უნარის დაგვარათ ითვისებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგს. ჩემი მოწაფეები ქალთა უმაღლეს კურსებზე არა ნაკლების ენერგიითა და მხნეობით სწევენ უღელს, ვიდრე სტუდენტები: ისინი იმგვარათვე მუშაობენ, როგორც აი, ამ ძველ უნივერსიტეტში.

ნაშუადღევს 4 საათზე დასრულდა ადრესების კითხვა, რას შემდეგაც სტუდენტებმა ტაშის კვრით და gaudeamus-ის მღერით გააცილეს იუბილიარი.

ქართლელი.

*) ეს იუბილე დანიშნული იყო 29 ოქტომბრისთვის, მაგრამ წინა დღეს მომხდარი არეულობის გამო გადაიდვა.

# დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.).

**რ უ ს ე თ ი.**

პეტერბურგი. ობუხოვის ქარხანაში ახალი მოლაპარაკება მუშებისა ქარხნის ადმინისტრაციასთან უნაყოფო გამოდგა. მუშებმა, ვინც 25 ნოემბერს დაიწყეს მუშაობა, 26 ნოემბერს ისევ შესწყვიტეს. ქარხანაში პოლიციელთა რიცხვი გააძლიერეს.

ვიბორგი. კომენდანტმა ბრძანება გასცა —სამი დღის განმავლობაში ვიბორგის რაიონიდან მოვაჭრე ალექსანდრე კოხი, როგორც მავნე წევრი საზოგადოებისა გადაასახლონ.

**უ ც ხ ო ე თ ი**

პარიზი. ახალი კაბინეტის პროგრამაში გამოცხადდება, რომ მთავრობა შეთანხმებისა და შერიგების გზას დაადგება. ის დაეყრდნობა პალატის მემარცხენე ელემენტებს და დაიცავს საერო შკოლებს. აგრეთვე მთავრობა დაეხმარება სენატს ახალი საარჩევნო კანონის შემუშავებაში.

ზაგრები. სერბიელთა შევარდნების მოწვევით აქ მოვიდენ სლოვენთა შევარდნები. მათმა მისვლამ მანიფესტაციისა და სერბიელ-ხორვატელ სლოვენთა გაერთიანების ხასიათი მიიღო.

ტოკიო. რუსეთის საელჩო, იაპონურ გაზეთებში გავრცელებულ ხმებს, ვითომ რუსეთს სამხრეთ მანჯურიაში რკინისგზის გაყვანის კონცესია ეძლოს, უარყოფს. ჩინელები ნანკინში მიყენებულ ზარალს 900 ათასი იენის მიცემაზე იაპონელებს უარს ეუბნებიან.

ვენა. უნგრეთის დელეგაციის საერთო სხდომაზე ინტერპელიანკების საპასუხოთ ბერხტოლდმა აღნიშნა დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება ავსტრიასთან ბალკანეთის პირველი ომის წინააღმდეგ ზომების მიღებაში.

ვენა. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ 1912 წელს დამატებითი სამსახურისათვის მიწვეული ჯარისკაცები ორ დეკემბერს დაითხოვონ.

პარიზი. „ჰავასის“ ცნობით, რიბომ გარეშე საქმეთა მინისტრობაზე უარი სთქვა.

სოფია. საარჩევნო სიტყვაში ბობჩევი ვრცლათ შეეხო რუსეთს და აღნიშნა ის როლი, რომელსაც ის თამაშობდა ამ ზაფხულის მომხდარი ამბების დროს. ორატორმა განაცხადა: წინანდელი მთავრობა ცდილობდა პეტერბურგში დაწყებული დიდი საქმე მშვიდობიანათ განეხორციელებია რუსეთი დიდათ აფასებდა კავშირს, რომლის მიზანიც სლავიანთა გაერთიანება იყო. ის ბალკანეთში ყველაზე ბულგარელებს თანაუგრძნობდაო.

# უცხოეთი.

გაფიცვა ინგლისში. დასავლეთის რკინის გზაზე მემანქანენი გაიფიცნენ. რკინისგზის საბჭომ გაფიცვის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა. მუშებს პირობა ქონდათ მიცემული 1915 წლამდი შრომის პირობების შეცვლა არ მოეთხოვათო. გაფიცულთა თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ უელსის ქვანახშირის მთხრელი მუშებიც გაიფიცენ. სულ გაფიცულ მუშათა რიცხვი 30 ათასი არის. გაფიცვა მუშათა მოძრაობის ლიდერებს ძლიან აფრთხობს. ეს გაფიცვა ააშკარავებს მუშებში დისციპლინის უქონლობასა და აღრმავებს მათში უთანხობას.

ოსმალეთის ფინანსები. ოსმალეთის მინისტრებს ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ თათბირი აქვთ გამართული. შემდგარია მინისტრთაგან კომისია, რომელიც იკვლევს ოსმალეთის ფინანსიურ მდგომარეობას. კომისია ღებულობს ღონისძიებას დეფიციტების დასაფარავათ და მოხელეების ჯამაგირების გასასტუმრებლათ. ჯავიდბეის მოლაპარაკება აქვს გერმანიის მთავრობასთან 25 მილიონი ფრანკის სესხათ აღების შესახებ. ოსმალო მოხელეებს ოთხი თვის ჯამაგირი აქვთ მიუღებელი.

ცაბერნის ამბები. ცაბერნის ამბებში დამნაშავე პოლკოვნიკმა რეიტერმა (ცაბერნის ქალაქის სამართველოს აცნობა ჯარის შეურაცხყოფას შემდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთო. პოლკოვნიკმა იმ ჯარისკაცებს, რომლებიც უკანასკნელ შეტაკებაში მონაწილეობას ღებულობდნენ, გამარჯვება მიულოცა. რეიტერმა ბძანე-

## სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

# ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საფაბრიკო, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.



დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


ზა მიიღო, ჯარის უფროსობა გენერალ კრუნს გადაეცით. რეიტერი სამსახურიდან დათხოვნილია.

## პასუხათ

**„ვინაა პატრონის ავტორს“, შორაპნის მაზრიდან მასწავლებელს.**

გაზეთი „ერის“ მე—14 №-ში შორაპნელი მასწავლებელი ნიანგის ცრემლებსა ღვრის და მოსთქვამს: „ყველა მოხელეს განსაზღვრული დრო აქვს დანიშნული ჯამაგირის მისაღებათ, მხოლოდ შორაპნის მაზრის სამრევლო შკოლათა მასწავლებლებს ჯამაგირების მიღებას მუდამ **შემთხვევითი ხასიათი აქვს**. აქაური მასწავლებლები სხვა მოხელეთა წაბაძვით **უთვლს თვრიცხვს მივლენ ხოლმე** დაბა ზესტაფონს ფულის მისაღებათ საბჭოს განყოფილების თავჯდომარესთან, მაგრამ **ფულის მაგიერ დახვდებათ ხოლმე მათ რაიმე** მიზეზი და ხელცარიელნი ბრუნდებიან უკან. (ხაზი ყველგან ჩვენია).

ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ თქვენ, ბ-ნო მასწავლებელო, იდეურათ კი არ ემსახურებით თქვენს წმინდასა და პატიოსან მოვალეობას, არამედ „დვადცატნიკი“ ყოფილხართ, ვილაპარაკოთ პირდაპირ. ჯამაგირის მიღებას **შემთხვევითი ხასიათი აქვსო**, ბძანებთ თქვენ; ნეტავი რას ნიშნავს ეს **შემთხვევითი ხასიათი?** როდის იყო დაგიბარეს ოცში ფულის მისაღებათ და მერე აღარ მოგცეს და ხელცარიელი გაბრუნდით, თქვენ ის უნდა გეთქვათ, რომ **თვამდისაც** ბევრჯერ ყოფილვართ, და თუმცა დრო არ იყო, მაგრამ გზის სიშორისა გამო და ხარჯის შესამცირებლათ უშოვიათ კერძოთ ფული, როდესაც კრედიტი არ იყო გახსნილი ხაზინაში, და მიუციათ მასწავლებლისათვის. ყოფილა თუ არა ასეთი შემთხვევა? მართალია, ძლიერ ხშირათ ოცს ჯამაგირი არ დარიგებულა, მაგრამ აქ ვისა სდებთ ბრალს? აი, საქმის ვითარება როგორაა **ჯამაგირის** დარიგების დროს: იმერეთის საეპარქიო საბჭო აცნობებს ქუთაისის სახაზინო პალატას გახსნას კრედიტი განყოფილების განკარგულებაში ზესტაფონს ხაზინით, მაგალითად ამა 1913 წელს იანვარ-თებერვლის (ორი თვის ერთად) კრედიტი გაიხსნა 14 მარტს, მარტისა—6 აპრილს, ივნისის 22 იმავე თვეს, ივლისის 22-სა, აგვისტოსი—22, სეკტემბრის—22, ერთს დღეს ხაზინა აქ აჩერებს კიდევ ფულს, ასე რომ ჯამაგირის „ასიგნოვკით“ გამოტანა ხაზინიდან 23 რიცხვს ძლივს ხერხდებოდა. ასეთს „ხელ შემწყობ“ პირობებში უსათუოთ ბ-ნ მასწავლებელს ოცს დაურიგე ჯამაგირი. აქ შორაპნის განყოფილება და მისი თავჯდომარე რა შუაშია! არ ყოფილა ერთი შემთხვევა, რომ ოცს გახსნილიყოს კრედიტი და საიდან შეიძლებოდა ამ რიცხვს არ ასცდენოდა ჯამაგირი მასწავლებელს?

რაც შეეხება ჟურნალებისა და სხვა წიგნებისათვის ოკტომბრის თვის ჯამაგირიდან ფულების გამორიცხვას, ესეც განყოფილების საქმე არაა, ასე უბძანეს ზემოდან და ისინიც გირიცხვენ. ამ შენიშვნას ჩვენ პასუხს არ გავცემდით, რომ ჩვენ არ დავესახელებიეთ და თუ უპასუხებთ, მხოლოდ მისთვის, რომ უსამართლო ბრალდება თავიდან ავიცშოროპია.

შორაპნის განყოფილების თავჯდომარე **ლვდ. ანთაძე.**

## საჭიროა ზომის მიღება.

(წერილი ფოთიდან).

ვინ არ იცის, თუ რა ცუდ მდგომარეობაშია ქართული წიგნების გამოცემის საქმე. აქ ვიღაც შახბარათოვები, ახნაზაროვები სცემენ ყოვლად უშნოვასო წიგნებს. ახლაც წინ მიდევს ფოთში ტულუშის სტამბაში დაბეჭდილი და ვიღაც შახბარათოვის შედგენილი და გამოცემული ლექსები „ჭაჯი-ბაბას ქმნილება“. წიგნაკი ამ წელსაა გამოცემული. არც ქართული ენის ცოდნა, არც ლექსთა წყობა და არც აზრი. მაგალითისთვის ამოვწერ ორ ლექსს სიტყვებით:

„შაშვი“

გალიაში მომკვდარიყო
მგალობელი შენი შაშვი!
ბატონო არ მოიწყინო,
ზარემ სამი არის კარში;
ჩემსას ხუროში ჭრიხვინებსო,
ჰკუაც დამეკარგა, თავში“

„ლორი“.

შნო! იმას არა აქვს სიმაღლე,
დაბლად დაბადა გოჭები,
ლორმა შეჭამა გოჭები,
მისი სახელი მოსიპოსო,
ერთმანეთ, პატივსა სცემენ,
გარდასახადი ბორჯია,
ნამეტანი, მემეწადა,
პატარა დაგეკლა გოჭია“.

ჩვენ რა უნდა მოვსთხოვოთ შახბარათოვისთანა **ჯღაბნელ**-გამომცემლებს მაგრამ ასევე არ შეგვიძლია მოვექცეთ მესტამბეებს, ბ ნ ტულუშს, რომელსაც თავი მოწინავეთ მოაქვს და ესდეკების კანდიდატიც კი იყო ამომრჩევლათ ამ უკანასკნელი სათათფიროს არჩევნების დროს ფოთში, უნდა გაეგებოდეს, რომ ასეთი წიგნების სტამბაში დაბეჭდვა გათახსირებაა. ჩვენ სხვაფრივ ბძოლა ამგვარ გამოცემებთან არ შეგვიძლია, თუ არ მესტამბეების საშვალებით, ამიტომ, ჩვენის აზრით, მესტამბეები ზნეობრივათ ვალდებული უნდა გავხადოთ, რომ ამგვარი წიგნები, რომელთა სრულიად უვარგისობაც პირდაპირ თვალში გეცემათ მაშინათვე, მესტამბეებმა არ მიიღონ დასაბეჭდათ.

**უ—ლო.**

## დაბა-სოფელი.

**ს. ბზვანი** (საჩინო). ჩვენი სოფელი რო მოკლებულია ყოველგვარს კულტურულ დაწესებულებას, რომ ის გონებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე სდგას—ამის სიმწვავეს ნათლათ ვგრძნობთ. ძვირათ შეხვდებით რომელსამე სოფელში ასეთ უზრუნველ-უდარდელ საზოგადოებას; ვხედავთ ზოგან სოფელში ცოტათ თუ ბევრათ განათლება ფეხს იდგამს, ბზვანი კი კუს ნაბიჯით მიდის.. იგი საგათის ძილს შეუპყრია... და ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხსა და სოფლის შეგნებულ პირთა შორის კავშირი არ არსებობს. დარღვეულია მათშორის სულიერი, მეგობრული წონასწორობა... შურიანობა, უთანხმოება, საკუთარი, „მე“-ს დაკმაყოფილება, ცხვირის მაღლა წევა— აი, რას ვხედავთ. გულგრილათ უცქერიან აქაური შეგნებულები საზოგადო საქმეს. სძინავს ტკბილათ და გამოღვიძებასაც არ ფიქრობს. ხალხი ხედავს ამას და გიოცებული თვითონაც სძლებს.

Jratus

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

## გარეშე ცნობა.

აგერ ერთი კვირაა, რაც ჩემი სახელოსნოს მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნილებები. მე ჩემი მხრით დავაკმაყოფილე მათი მოთხოვნილებანი თანახმათ იმ პირობებისა, რომელიც უკვე შემუშავებული და დადგენილია სხვა აქაურ სახელოსნოებში ხაზეინებსა და მუშებს შორის, მაგრამ ჩემი სახელოსნოს მუშები ამით არ დაკმაყოფილდენ; ამის გამო საჭიროთ ვსცანი სამედიატორო სამართალისთვის მიმემართა, მაგრამ ამაზეც უარი განაცხადეს. ახლა თქვენი გაზეთის საშვალებით ნება მიბოძეთ უკანასკნელათ მივმართო მათ იმავე წინადადებით, რომ გამომყვენ სამედიატორო სამართალში. პასუხს ველი 4 დღეში. როდესაც პასუხს მივიღებ ჩემს მედიატორეთაც დავასახელებ და თუ უარი განაცხადეს მე სრული ზნეობრივი უფლება მეძლევა დავითხოვო იგინი და არც განაცდენის დროის ფასი მივსცე.

**ა. კოხტავა.**


## საცვლების მკერავი ქალი

სალომე ფუკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.

ბაღდადის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64.



გამოცემა „სორაპანისა“
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული

## კედლის კალენდარი 1914 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი

კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი სადებავით სუფთად და ლამაზათ.

## სახალხო კალენდარი 1914 წ.

დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც ბარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“.



## КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.

## ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ— путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключитеьно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это— нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ*: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ**.





ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).

**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები,ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## გ. მორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა ბარჯითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.